განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

30.09-01.10.2019 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
09.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სამართალი**
განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**სამართლის მაგისტრი - 0421**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**120**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯაყელი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო შენგელია, შპს „კავკასიის უნივერისტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული იქნა და 2005 წლის 24 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა სამართლის სკოლის ბაზაზე. პირველი აკრედიტაცია მოიპოვა 2014 ლის 24 დეკემბერს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 დეკემბრის 302 გადაწყვეტილება), ხოლო აკრედიტაციის 5 წლიანი ვადის გათვალისწინებით ის განახლებული იქნა 2019 წელს (საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის ოქმი #57/19). სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი შეიქმნა 2019 წლის 9 აპრილს, სკოლის საბჭოს ოქმი N 09-19. დღის წესრიგით განისაზღვრა რეაკრედიტაციის პროცესისთვის სამაგისტრო პროგრამის ინიცირება. გადაწყდა რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი სკოლის დირექტორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შემადგენლობით. გამოითქვა მოსაზრებები შემდეგი ღონისძიების გატარების მიზანშეწონილებაზე: პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, პროგრამით დაინტერესებული პირების კმაყოფილების დონის შეფასების მიზნით კვლევების/გამოკითხვების ინიცირება, დაინტერესებულ პირთა ჩართვის უზრუნველსაყოფად შეიქმნას პროგრამის განვითარების საბჭო. 2019 წლის 13 მაისი საბჭოზე N10-19 გადაწყდა რომ შეიქმნას პროგრამის განვითარების საბჭო სადაც განისაზღრა წევრები (დანართი N1). ეს არის პლატფორმა რომელიც გააერთიანებს პროგრამით დაინტერესებულ პირებს: პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, გარე ექსპერტებს და სხვა. 2019 წლის 14 ივნისის საბჭოზე N11-19 დამტკიცდა სამართლის სამაგისტრო პროგრამა.

როგორც თვითშეფასებაშია გაცხადებული, პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მისი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება და გამოუმუშავდება დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო კომპეტენციები. პროგრამა ითვალისწინებს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მონაწილეობას სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში. პროგრამა, აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებთან ერთად, ორიენტირებულია უზრუნველყოს სტუდენტისთვის საჭირო ტრანსფერული უნარების გამომუშავება, რაც ემსახურება შრომის ბაზარზე რეალიზებისთვის ან/და სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მიზანს. პროგრამა შედგება 120 ECTS-ისგან. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტები განსაზღვრულია ექვსი ან მისი ჯერადი ECTS-ით. სტრუქტურულად პროგრამა შედგება 48 ECTS-ი სავალდებულო, მათ შორის 30 ECTS-ი სამაგისტრო ნაშრომი, 6 ECTS-ი აკადემიური წერა - კვლევის მეთოდები, 12 ECTS-ი სამართლის კლინიკა მაგისტრანტებისთვის, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. 42 ECTS-ი არჩევითი კომპონენტებისგან, რომელიც სტუდენტმა უნდა აარჩიოს 274 ECTS-ი შეთავაზებული კომპონენტებისგან. პროგრამა ზოგადი ხასიათისაა და არ არის ჩაშლილი ვიწრო (საჯარო, კერძო თუ სისხლის) მიმართულებებად. ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ პროგრამაში სწავლის შედეგები გაწერილია ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოცემული კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად ექვსი შედეგის მიხედვით, ხოლო თვითშეფასებაში აღწერილია ახალი მოთხოვნების მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს აკრედიტაციის ვიზიტისთვის წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმით გათვალისწინებული შეხვედრები ჩატარდა თანმიმდევრულად თუმცა არა სრულყოფილად. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრა ვერ შედგა. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს ვერ განხორციელდა მათი ექსპერტებთან შეხვედრა, დროის უკმარისობის გამო იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ. ასევე ვერ განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული დასკვნითი შეხვედრა დაწესებულებების წარმომადგენლებთან ექსპერტთა ორდღიანი მუშაობის შედეგად დაფიქსირებული მიგნებების გაზიარების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის განმართებით დაელოდებიან დასკვნის პროექტს და მიიღებენ შესაბამის ზომებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სუ-ის სამართალმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდართებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდეგნაირად:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

2.3 სტანდართან მიმართებაში:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური. შესაბამისად ყველა შემოთავაზებული საგანი რომელიც 6 კრედიტიანია მიზანშეწონილია რომ გადაიხედოს.

2.6 სტანდართან მიმართებაში:

- იმისათვის რომ შეფასება იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად გაიწეროს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. მიზანშეწონილია რომ სტუდენტს წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია შეფასების ფორმების, კრიტერიუბების და მეთოდების შესახებ. უნდა იყოს გაჭვირვალე და საჯარო.

4.1 სტანდართან მიმართებაში:

- საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტი ადგენს, რომ საჭიროა პროგრამას ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. მიუხედავად საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, ასისტენტთან სამართლებრივი ურთიერთობის იმგვარი მოწესრიგებისა, რომ მას უფლება ეძლევა სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლო კურსის ხელმძღვანელობა, დასაფიქრებელია ასისტენტის თანამდებობის იმ ფუნქციების შინაარსი, რომელიც კანონმდებელმა მოიაზრა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე.
- ამასთან, აუცილებელია უნივერსიტეტში მოქმედებდეს პერსონალის დატვირთვის სტანდარტთან შესაბამისი სქემა..

4.2 სტანდართან მიმართებაში:

- სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების განსაზღვრული კონცეფცია და პრაქტიკაში ახორციელებდეს მათი პერსონალის უნივერსიტეტის მხრიდან შეფასებას.

- სასურველია უნივერსიტეტში პერსონალის პირად საქმეში არსებული დოკუმენტები ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმით. ასეთი დოკუმენტაცია დაეხმარება საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას.

5.2 სტანდარტთან მიმართებაში:

- გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2 სტანდართან მიმართებაში:

- ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.
- მიზანშეწონილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებდეს სამიზნე ნიშნულის აღების/ათვლის წერტილად რა პრინციპი თუ მონაცემია აღებული, ჩანდეს პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ათვლის წერტილის საფუძველი. აუცილებელია სამომავლო ცვლილების დაგეგმვა. არ ჩანს ის ცვლილება თუ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების მტკიცებულებები, რომელიც პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედეგად დაედო საფუძვლად.

2.5 სტანდარტთან მიმართებაში:

- მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამაში, სილაბუსებში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალი დეტალურად განიმარტოს.

3.1 სტანდართან მიმართებაში:

- სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის გაძლიერებისათვის უმჯობესი იქნებოდა საკონსულტაციო სერვისის გაძლიერება. უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე ასისტენტის რესურსი შეიძლება არცთუ საკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშაოს სპეციალური თანამშრომლების აყვანასა, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი;
- სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კერძოდ გაიზარდოს პარტნიორ დამსაქმებელთა რაოდენობა.

3.2 სტანდარტთან მიმართებაში:

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების, აღრიცხვის და დაცვა-შენახვის პრაქტიკა უფრო მეტად დაზუსტდეს, გაიწეროს მარეგულირებელ აქტებში, განხორციელდეს და ერთგვაროვანი სახით გავრცელდეს უნივერსიტეტში დაცულ ნაშრომებზე.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში:

- ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. პირადი მონაცემების მითითების შემთხვევაში უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს არ აქვთ ბაზებზე წვდომა. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, პირადი ელექტრონული

მონაცემების მითითების შედეგად, ნებისმიერი წერტილიდან ჰქონდეთ წვდომა ასეთ წყაროებზე.

5.1 სტანდარტთან მიმართებაში:

- შიდა შეფასების უზრუნველმყოფელი რეგულაციების ტექნიკურად გამართვა, მეტი დეტალიზაცია, სადაც გამოჩნდება შემსრულებელი და ანგარიშგების ვალდებულების მქონე პირების უფლება-ვალდებულებები და ცალკეული სპონტანური პროცესების სისტემატიზაცია.

5.2 სტანდარტთან მიმართებაში:

- მიზანშეწონილია გარე შეფასებებზე რეაგირების წესში გათვალისწინებული იქნას ზოგადად განათლების და დარგის, მათ შორის უცხოელი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის რეგულაციები.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში:

- მიზანშეწონილია მეტი სისტემატიზაცია და მკაფიო რეგულაციის შემუშავება და დანერგვა, რომელიც პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პერიოდული დადარების მეშვეობით უფრო კონცენტრირებულად ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სამართლებრივი ინგლისურის სწავლების ხელშეწყობა, Toles-ის ავტორიზებულ რეჟიმში განხორციელება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირველადი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები გაზიარებულია და გათვალისწინებულია სრულად, რაც დასტურდება სასწავლებლის აკადემიური საბჭოსა და სკოლის საბჭოს ოქმებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი 2004 წელს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის“ სახელით დაფუძნდა. **საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა:** ცოდნის საზღვრების გაფართოვება და პიროვნების განათლება, რაც პატიოსნებასა და შრომაზე დაფუძნებული პროფესიული საქმიანობითა თუ მეცნიერული მიღწევებით განაპირობებს საზოგადოების ჯანსაღ, ჰუმანურ და დემოკრატიულ განვითარებას სახელმწიფოსა და ზოგადად, კაცობრიობის საკეთილდღეოდ. **საქართველოს უნივერსიტეტის ხედვა:** • იყოს ლიდერი უნივერსიტეტი რეგიონში. უნივერსიტეტში სწავლა და კვლევა ასოცირდებოდეს უმაღლეს ხარისხთან, დიპლომი იყოს პრესტიჟული; • იყოს საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც მუდმივი სტუდენტების არანაკლებ 50% უცხოელია. ქონდეს საერთაშორისო თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკა-სტაჟირების, ტექნოლოგიური ტანსფერის და ა.შ. მიმართულებით; • იყოს საქართველოში ყველაზე ინოვაციური უნივერსიტეტი: როგორც სასწავლებელი, კვლევითი დაწესებულება, ბიზნეს-ორგანიზაცია; • იყოს ლიბერალური ღირებულებების გამავრცელებელი რეგიონში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების ფორმირების პროცესში. **საქართველოს უნივერსიტეტის ღირებულებებია:** • თავისუფლება; • ჰუმანურობა; • სრულყოფილება. საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (UG. edu.ge) ხელმისაწვდომი უსდ-ს განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) და მოკლევადიანი (2014-2015) სტრატეგიული გეგმების თანახმად, უნივერსიტეტის თანამედროვე წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბების პროცესში პირველ ეტაპზე დასახული ამოცანა ითვალისწინებ პიროვნების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობას და მისი კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებას, ახალი სასწავლო/სამეცნიერო პროგრამების შემუშავებას და არსებული პროგრამების გაუმჯობესებას, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული, კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადების პროგრამების შეთავაზებას, საუკეთესო აკადემიური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას, სამართლის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წლის 24 დეკემბერს და ძალაშია 2019 წლის 24 დეკემბრამდე. საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება და გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო კომპეტენციები.

სტუდენტებს აძლევს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, ხოლო მეორე მხრივ, უვითარებს პრაქტიკულ და კვლევით უნარ-ჩვევებს. დასახელებულ კომპეტენციებს სტუდენტი იძენს პროგრამის ძირითადი საგნების დაძლევისა და პროგრამის არჩევითი საგნებიდან კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად. აღწერილი კომპეტენციებისა გამომუშავების შედეგად ყალიბდება ის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლის მომზადებაც, ერთი მხრივ, წარმოადგენს პროგრამის მთავარ მიზანს. კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ ყველა პოზიციაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა განაგრძოს დოქტორანტურის საფეხურზე. შეძენილი ღირებულებების გამოყენებით პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში. სამაგისტრო პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციურ და ღირებულებით ნაწილში. კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან, საგნების სპეციფიკა და მათში გაწერილი მიზნები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს. პროგრამის მიზნები ასახულია პროგრამაში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები • უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმები; • სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი; • სამართლის სკოლის საბჭოს ოქმები: #09-19;# 10-19; #11-19. #18-19. • სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა; • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • მემორანდუმები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • საქართველოს უნივერსიტეტის მისია; • სტუდენტთა გამოკითხვის შემაჯამებელი ანგარიშები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებში სწავლის შედეგები ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოცემული კავლიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად ექვსი შედეგის მიხედვით მოცემული მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის სტანდარტი და საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ ითვალისწინებს სამდონიან სწავლის შედეგთა შეჯამების დანაწესს. სამდონიან სწავლის შედეგების შეჯამება მოცემულია მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშში რომელიც წარმოადგინა უნივერსიტეტმა.

ექსპერტთა მხრიდან პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიმართ დაისვა კითხვა, თუ რამ განაპირობა განსხვავებული მიდგომა პროგრამას, სილაბუსებსა და თვითშეფასების ანგარიშს შორის. გასაუბრების დროს განიმარტა რომ სამდონიანის შემთხვევაში იმავე შედეგზე გადის როგორც ეს ხდება 6 ის შემთხვევაში, რომ 6 შედეგების ტრანსფორმირება შესაძლებელია 3 შედეგში.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თვითშეფასების ანგარიშში უნდა განხორციელდეს არსებული მდგომარეობის აღწერა. შესაბამისად თვითშეფასებაში მოცემული სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამაში, სილაბუსში მოცემულ სწავლის შედეგებთან.

თვითშეფასების ანგარიშის დანართთან ერთად უნივერსიტეტმა წარადგინა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ ეს პროცედურა გაწერილია დაწესებულების „ხარისხის უწყვეტობის ინსტრუქციაში“. პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის პირდაპირ და ირიბი შეფასების მეთოდებს, თუმცა სამიზნე ნიშნულის აღების/ათვლის წერტილად რა პრინციპი თუ მონაცემია აღებული არ ჩანს. ასევე, თვითშეფასების ანგარიშიდან არ იკვეთება პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ათვლის წერტილის საფუძველი.

აუცილებელია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით სამომავლო ცვლილებების დაგეგმვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, თუმცა არ არის წარმოდგენილი ის ცვლილება თუ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების მტკიცებულებები, რომელიც პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედეგად დაედო საფუძვლად.

მოცემული დოკუმენტის ანაზილის შედეგად დადგინდა რომ თვითშეფასების ანგარიშში არ არის მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, არ არის ანალიტიკურად გააზრებული ის მექანიზმები, რაც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებშია მოცემული - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს გამოვლინდა რომ სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი სადაც გაწერილია: სწავლის შედეგები რომელიც მოიცავს 6 კომპონენტს, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, სამიზნე ნიშნულები

2021 წლისთვის. დოკუმენტი ექსელის ფაილში არ წარმოადგენს პროგრამის ნაწილს/დანართს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არ მოიცავს ზემოთ მითითებულ ინფორმაციას.

პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფა/მოდიფიცირების პროცესში, პროგრამისთვის რელევანტური/მიღწევადი სწავლის შედეგების განსაზღვრაში სკოლის დირექტორთან/დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად ჩართული იყვნენ პოტენციური და/ან რეალური დამსაქმებელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის/დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები.

დარგობრივი სტანდარტის და შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე ასპექტი, რომელიც სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს განასხვავებს საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულისგან. დარგობრივი სტანდარტის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის მიზანია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარება. გარდა ამისა, უშუალოდ კომპეტენციების აღწერიდან გამომდინარე, სამაგისტრო საფეხური სტუდენტს უნდა უვითარებდეს სფეროს უფრო ღრმა და სისტემური ცოდნას, რაც სიღრმისეული ანალიზის განხორციელების, პრობლემების კომპლექსური შეფასების და მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარს. დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი საკითხების უფრო სიღრმისეული ცოდნა, შესაბამისი პრაქტიკის ცოდნა და სხვ.

კერძო სექტორში დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის დამატებითი კომპეტენციები/უნარები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურის სამართლის პროგრამის კურსდამთავრებული. გამოკითხვის შედეგებში გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს რიგი პროფესიული საკითხების უფრო სიღრმისეულ ცოდნას, იცნობდეს საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.

საჯარო სექტორში დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის დამატებითი კომპეტენციები/უნარები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხურის სამართლის პროგრამის კურსდამთავრებული. გამოკითხვის შედეგებში გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საჯარო მმართველობის საკითხების უფრო ღღმა ცოდნას და სხვა.

აღნიშნული მოთხოვნების საპასუხოდ, სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი ბლოკი სტუდენტს უვითარებს სამართლის სფეროს სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას, ხოლო პროგრამის სავალდებულო ბლოკი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა რომლის საფუძველზე გამოიყო 2 ჯგუფი.

I ჯგუფი 80% მეტმა დადებითად შეაფასა: სავალდებულო საგნების მნიშვნელობა პროფესიისათვის, პროგრამა აძლევს თეორიულ ცოდნას. შემოთავაზებული ასარჩევი საგნები მნიშვნელოვანია პროფესიისთვის.

II ჯგუფი - 80% ნაკლები საუბრობს რომ პროგრამა ნაკლებად უზრუნველყოფს პროფესიისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

შედეგად უნივერსიტეტმა დაადგინა ამ კომპონენტის გაძლიერება და შესაბამისი ღონისძიების გატარება.

უნივერსიტეტს გასაუმჯობესლ მხარეში დასახელებული აქვს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, რომელიც გულისხმობს (სასწავლო პროცესში მეტი უცხოელი სპეციალისტის ჩართვას, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობას პროგრამის დახვეწის პროცესში; პროგრამის სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო პერსონალის კვლევების მეტ ინტერნაციონალიზაციას).

აღსაღნიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მაჩვენებლი დაბალია. რაც საჭიროებს უნივერსიტეტის ხმრიდან მეტ ჩართულობას.

სამაგისტრო პროგრამაში ინგლისურ ენაზე შეთავაზებული აქვთ: იმიტირებული სასამართლო პროცესი; აშშ-ის სამართლებრივი სისტემა; საერთაშორისო ბიზნეს სამართალი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლებიც პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკშია.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების, დამტკიცებისა და შემდგომი განვითარების პროცედურა, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, რესურსების ანალიზს, კონსულტაცია/გამოკითხვას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შეფასება ხდება როგორც პირდაპირი - სწავლის შედეგთან კურიკულუმის რუკით დაკავშირებულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, ასევე არაპირდაპირი - კურსდამთავრებულთა გამოკითხვის გზით. რომელიც არ იყო წარმოდგენილი.

შეფასების შედეგები დადგენილი პერიოდულობით წარედგინება პროგრამის განვითარების საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

პროგრამის განვითარების საბჭოს მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი, რომელიც კეთდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განვითარების საბჭოს ამოცანაა ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში დასკვნების გაკეთება რაშიც იგულისხმება როგორც არსებული სწავლის შედეგების კომპონენტების დახვეწა და ისე ახალი კომპონენტის გაჩენა, პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამის ცვლილების ინიცირება სკოლის აკადემიური საბჭოსთვის.

პროგრამის შეფასების საბჭო შემაჯამებელ სხდომას ატარებს სემესტრულად სულ მცირედ ერთხელ. მაგრამ საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვრება დამატებითი შეხვედრა.

ამგვარად, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს შედეგებს რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, რაც სრულად გამომდინარეობს პროგრამის დიზაინიდან და შეესაბამება როგორც დამსაქმებელთა, ასევე დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის შედგენაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის და განხორციელებული შეფასება
- ხარისხის უწყვეტობის ინსტრუქცია;
- პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ექსელის ფაილი სადაც გაწერილია სწავლის შედეგების მექანიზმი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.
- მიზანშეწონილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებდეს სამიზნე ნიშნულის აღების/ათვლის წერტილად რა პრინციპი თუ მონაცემია აღებული, ჩანდეს პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გრაფიკის ათვლის წერტილის საფუძველი. აუცილებელია სამომავლო ცვლილების დაგეგმვა. არ ჩანს ის ცვლილება თუ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების მტკიცებულებები, რომელიც პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შედეგად დაედო საფუძვლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • პროგრამაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, დაემატა საგნები სადაც ეს კომპონენტი გაძლიერებულია, დაემატა პრაქტიკული სასწავლო კურსები, კლინიკური სასწავლო კომპონენტები, სადაც სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. • პროგრამას დაემატა სამართლებრივი ინგლისურის კურსი, რომელსაც გადიან სერტიფიცირებული პროგრამით.
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად;
- ინლისურ ენაში (წერითი) გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში ან ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Upper Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის არსებობისას;
- სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში;
- ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები. პროგრამაზე მიღების გამოცხადების შემთხვევაში, გააქტიურდება ბმული, რომელიც მსურველს საშუალებას მიცემს იხილოს ინგლისური ენის ტესტების და სპეციალობის საგამოცდო საკითხების ნიმუშები.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.ug.edu.ge). ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს დამატებითი კონსულტაციისთვის დაუკავშირდენენ უნივერსიტეტს (მათ შორის: სკოლის ხელმძღვანელს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის გამოყენებით, რომლის თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის დირექტორის ან/და შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ, რომელიც სკოლის საბჭოს წარუდგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის თაობაზე. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს. შესაბამისი დოკუმენტების შემუშავების შემდეგ, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასების, პროგრამისა და სილაბუსების უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას. ადამიანური რესურსების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. პროგრამის მუშაობის პროცესში ჩართული იყვნენ შემდეგი პირები: • სამართლის სკოლის დირექტორი/ სკოლის დეპარტამენტების ხელმძღვანელები; • სკოლის/დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი; • პოტენციური დამსაქმებლები; • პროგრმაზე ჩარიცხული სტუდენტები; • პროგრამის კურსდამთავრებულები; • ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები; • გარე ექსპერტი. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის თანახმად, სკოლის საბჭოზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. აღწერილი პროცესი პროგრამამ სრულად გაიარა. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS. პროგრამის ძირითადი 48 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტისგან, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს მოეთხოვება აკადემიური წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული 6 კრედიტიანი კომპონენტის ჩაბარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, რომელიც ფასდება 30 კრედიტით; პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით სტუდენტი სავალდებულოდ გადის 12 კრედიტიან კომპონენტს - სამართლის კლინიკას. სამაგისტრო პროგრამის შემადგენელ დანარჩენ 72 კრედიტს სტუდენტი ირჩევს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. კრედიტების საჭირო რაოდენობის დაგროვების შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოში საბაკალავრო სწავლების საფეხურისთვის წარმოდგენილ აღწერას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა და პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;

- კურიკულუმის რუკა;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- სკოლის საბჭოს ოქმები;
- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის 6 სწავლის შედეგს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის სტატუსი, სასწავლო კურსის ხანგრძლივობა, სასწავლო კურსის კოდი, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია,სასწავლო კურსის მიზანი,

დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები.

სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სწავლების შედეგებს შეესაბამება ასევე თითეული საგნის დატვირთვა, რომელიც გამოიხატება კრედიტების სისტემაში (ECTS), სადაც 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს. აღნიშნული საათები მოიცავს როგორც საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვ.) ასევე არასაკონტაქტო (დამოუკიდებელი სამუშაო) დროს. საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ისევე როგორც მათი თანაფარდობა შეესაბამება კურსის შინაარს და სპეციფიკას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე, შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს და უზრუნველყოფს პირველ რიგში, სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, ხოლო სასწავლო კურსების ერთობლიობლიობაში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი 6 კრედიტიანია. სილაბუსების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ საათობრივი გადანაწილება სხვადასხვა საგნების სილაბუსებს შორის მსგავსია. უმეტეს სილაბუსში საკონტაქტო საათი და საგამოცდო საათი მსგავსია და განსხვავება მოცემულია დამოუკიდებელ მეცადინეობასა და რეფერატს შორის. ყოველი სასწავლო კურსი მოიცავს 30 სთ ლექცია-სემინარი, 5 სთ-გამოცდა, რეფერატი და დამოუკიდებელი (95 სთ, 20 სთ) მაგალითად შემოთავაზებულია საგანი ქართულად და ინგლისურად და მათი საათობრივი განაწილება არის მსგავსი.

კურსის შეფასებაში გამოიყენება მრავალფეროვანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე პრეზენტაციები, იმიტირებული პროცესები, ქვიზები (წერითი, ზეპირი) ა.შ.

სახელმძღვანელოებთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან შესაბამის ნორმატიულ მასალას და სასამართლო გადაწყვეტილებებს. დასკვნით სემესტრებში შეთავაზებულ საგნებში გამოყენებულია ინგლიურენოვანი სახელმძღვანელოები/მასალა.

პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსები არა მხოლოდ სრულად შეესაბამება პროგრამის შედეგებს, არამედ, სწორედ აღნიშნული სასწავლო კურსებით ხდება შესაძლებელი პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების რეალიზება.

სამართლის სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში გამოყენებული კითხვარები, რომლებიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ საგნის დატვირთვა (საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები), გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა, შეფასების ფორმები და საგანთან დაკავშირებული სხვა ასპექტები.

სტუდენტების გამოკითხვის შედეგად იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები სასწავლო კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარები და გამოკითხვის ანგარიშები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური. შესაბამისად ყველა შემოთავაზებული საგანი რომელიც 6 კრედიტიანია მიზანშეწონილია რომ გადაიხედოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნარის გამომუშავების მიზნით სასწავლო კურსი აკადემიური წერა - კვლევის მეთოდები სტუდენტს უვითარებს აკადემიური კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი ნაშრომის მომზადების უნარს, რასაც სტუდენტი პრაქტიკულად ახორციელებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, ხოლო სასწავლო კურსის -- სამართლის კლინიკის ფარგლებში მაგისტრანტებისთვის, სტუდენტები ივითარებენ პროფესიისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული ასევე ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა იმიტირებული სასამართლო პროცესი მაგისტრებისათვის. სამართლის კლინიკა. დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა თუ როგორ მიმდინარეობს კლინიკური სწავლების პროცესი. მოიცავს სრულ სემესტრს და მიმდინარეობს სასწავლო კურსის ფორმატში. მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ აქტივობებს რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ_ჩვევების გამომუშავებას. კურსდამთავრებულებთან გასაურების შედეგად გამოვლინდა რომ პროგრამაში პრაქტიკული ნაწილი გაუმჯობესებულია. პროგრამაში შემოთავაზებულია არაერთი საშუალება რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვებებს. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.

ყოველწლიურად სტუდენტები, სამართლის სკოლის ხელშეწყობით, მონაწილეობენ სხვადასხვა იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. ასეთებია: Willem C. Vis International Commercial Arbitration Moot, International Law School Mediation Tournament, CDRC (The Consensual Dispute Resolution Competition Vienna), ICC International Commercial Mediation Competition, John H. Jackson Moot Court Competition. მიმდინარე წლიდან სამართლის სკოლა ემზადება ასევე ფილიპ ს. ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესების შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად.

აღსანიშნავია ის მიღწევები, რომლებსაც სტუდენტებმა ზემოთ ჩამოთვლილ კონკურსებში მონაწილეობისას მიაღწიეს. 2019 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კომერციული მედიაციის კონკურსში 66 მონაწილე გუნდს შორის დაკავებული მე-3 ადგილის შემდეგ, საბერძნეთში გამართულ სამართლის სკოლებს შორის მედიაციის საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის გუნდმა 52 მონაწილეს შორის მე-2 ადგილი დაიკავა.

სამართლის სკოლის მიზანია პროგრამის ინეტერნაციონალზიაცია. შესაბამისად სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია გააძლიეროს ინგლისურენოვანი კომპონენტი. პროგრამაში ინგლისურ ენაზე ხორციელდება შემდეგი კომპონენტები: იმიტირებული სასამართლო პროცესი; აშშ-ის სამართლებრივი სისტემა; საერთაშორისო ბიზნეს სამართალი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ინტერვიურების შედეგად გამოვლინდა რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით კიდევ გეგმავს მუშაობის გაგრძელებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, მათ შორის: Freedom Club და ახალგაზრდა იურისტთა კლუბი, რომლებიც უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის რიგ საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ. გარდა ამისა, სამართლის სკოლა პერიოდულად ახორციელებს/მხარს უჭერს პროფესიული ტრენინგების, კონფერენციების და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ და დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგებით.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო, რომელშიც თავმოყრილი და განმარტებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც უნივერსიტეტში გამოიყენება. მოცემულია მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს.

თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების მიხედვით გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გუნდური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ინტერაქტიული ლექცია, კრიტიკული ანალიზი, პრაქტიკული მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები, როლური თამაშები, სიახლეთა გარჩევა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study), შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, წერითი მუშაობის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სამაგისტრო პროგრამაში, პროგრამის სილაბუსებში არის მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალი, თუმცა იქვე არ არის დეტალურად განმარტებული თუ რას გულისხმობს ეს მეთოდები. თუმცა ნაწილობრივ მათ დასახელებულ განმარტებას ანაცვლებენ შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც დეტალურად არის განამრტებული სწავლების მეთოდების სახელმძღვანელოში.

აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები: თითეული სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარს და უზრუნველყოფს პირველ რიგში - კურსით, ხოლო საბოლოო ჯამში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სამართლის სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში გამოყენებული კითხვარები, რომლებიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები და საგანთან დაკავშირებული სხვა ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარები და გამოკითხვის ანგარიშები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამაში, სილაბუსებში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდების ჩამონათვალი დეტალურად განიმარტოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს და ქულათა გადანაწილება განისაზღვრება ამგვარად:

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი **(GPA)**	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2,00	C-		
67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		

51-60	1,00	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	F	ვერ ჩააბარა

სამაგისტრო პროგრამის, სილაბუსების ანალიზის შედეგად, ჩანს რომ მეტნაკლებად განსაზღვრულია სწავლის/სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები.

ყველა სილაბუსში ახსნილი და განმარტებულია შეფასების კომპონენტის (შუალედური და საბოლოო გამოცდის, პრეზენტაციის,იმიტირებული პროცესის, რეფერატის) შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსებში ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები რაც თითოეული კომპონენტის მიხედვით სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

სილაბუსში არ არის მოცემული თუ რა კრიტერიუმებით ფასდება სხვა გამოკითხვის ფორმები რომელიც მონაწილეობს საბოლოო შედეგის მიღებაში. მაგალითად როგორიცაა: ლექცია (ქვიზი)- რომელიც მოიცავს წერილობით, ზეპირ გამოკითხვას და შეადგენს საბოლოო შეფასების 30%. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტისთვის შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები იყოს გამჭვირვალე, გამოქვეყნებული და ცნობილი.

პროგრამის ხელმღვანელებთან, ხარისხის სამსახურთან ინტერვიურების დროს განმარტებული იქნა რომ შეფასების კრიტერიუმები გაწერილია ცენტრალიზებულად საბაკალავრო და სამაგისტრო დებულებაში, რომელიც მიეწოდება სტუდენტებს.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება, ადგენს სტუდენტის შეფასების სისტემას. დებულების თანახმად, სტუდენტის შეფასების ფორმებია:

- ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი)
- რეფერატი ან სხვა ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პრეზენტაციას
- შუალედური გამოცდა/კოლოქვიუმი
- პრაქტიკული უნარების შეფასება
- დასკვნითი გამოცდა.

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულია შეფასების ფორმები და არ არის განმარტებული თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მაგალითად 6 ქულიანი ქვიზი (წერითი, ზეპირი გამოკითხვა).

კურსდამთავრებულებთან იტერვიურების დროს არ გამოირკვა ქვიზების შეფასების კრიტერიუმების ცოდნის საკითხი.

იმისათვის რომ შეფასება იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, მნიშვნელოვანია საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილი იქნას ყველა გამოკითხვის ფორმის შეფასების კრიტერიუმები.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების, სკოლის საქმიანობის წესის შესაბამისად მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მოთხოვნით. კურსდამთარებულებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერიურების შედეგად გამოირკვა რომ ელექტრონულ პორტალის საშუალებით ხდება ნაშრომების შეფასება და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ნაშრომს. დებულება გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სკოლის საქმიანობის წესის შესაბამისად მუხლი 2, პუნქტი 2.3 განსაზღრავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტის გასაჩივრების პროცესს. სტუდენტი ჩემი UG-ის ელექტრონულ სისტემაში აკეთებს განაცხადს გაპროტესტების შესახებ. საჩივრის განხილვაში სტუდენტის, ლექტორის ჩართვა დამოკიდებულია მათ ნებასურვილზე. სკოლის დირექტორი განიხილავს დამოუკიდებლად რომლის შედეგს აცნობს ლექტორს. მისი ზეპირი თუ წერილობითი მოსაზრების შემდეგ სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას დაკმაყოფილების/არ დაკმაყოფილების შესახებ ან იღებს გადაწყვეტილებას ექპერტის დანიშვნის თაობაზე ,რომელიც დარგის სპეციალისტია. ექსპერტის დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია რომ მეტად ობიექტურობის უზრუნველსაყოფად ექპერტის (დარგის სპეციალისტის) ჩართვის საკითხი სასურველია იყო სავალდებულო და არ იყოს დამოკიდებული სკოლის დირექტორის დისკრეცია. დებულებით არ არს განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში ხდება სპეციალისტის ჩართვა.

შეფასების/ სამაგისტრო ნაშრომის განხილვის ნაწილში მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტების ჩართულობა, რათა მოხდეს იმ კრიტერიუმების დამატებითი შეფასება რომლის საფუძველზეც განხორციელდა შეფასება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორთათვის. შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასების ეტაპზე. სამართლის სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში გამოყენებული კითხვარები, რომლებიც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს, საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეაფასონ ლექტორისგან უკუგების მიღების რიგი ასპექტები. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად, უკუგების სრულყოფის მიზნით გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად იღებს კონსულტაციასა და მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; • საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება; • გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარების და გამოკითხვის ანგარიშები. • სკოლის საქმიანობის წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • იმისათვის რომ შეფასება იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ და ამომწურავად გაიწეროს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. მიზანშეწონილია რომ სტუდენტს წინასწარ ჰქონდეს ინფორმაცია შეფასების ფორმების, კრიტერიუბების და მეთოდების შესახებ. უნდა იყოს გაჭვირვალე და საჯარო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშწონილია სასწავლო და კვლევითი კომპონენტის გასაჩივრების პროცესში ექსპერტის ჩართულობა მოხდეს პირველივე ეტაპზე და არ იყოს სკოლის დირექტორის დისკრეცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი. აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.ug.edu.ge. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, ისე სასწავლო კურსების, პრერეკვიზიტების, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტთა უმეტესობა ვებ-გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომად ასე დეტალურად არ ათავსებს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას. ჩვეულებრივ ამგვარი ინფორმაცია უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვისაა ხოლმე

ხელმისაწვდომი. საქართველოს უნივერსიტეტის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით მისასალმებელია.

საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ისეთი სამართლებრივი აქტები როგორებიცაა: საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება (დანართებითურთ), მართვის დებულება, სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკის დებულება, კრედიტების აღიარების წესი, რესურსებით სარგებლობის წესი, სამეცნიერო ინსტიტუტის დებულება სასწავლო სამეცნიერო პერსონალის დებულება სკოლის საქმიანობის წესი, სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, ღირსების კოდექსი, შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ სკოლის დირექტორის, დეპარტამენტის/პროგრამის ხელმძღვანელის, ან ასისტენტისაგან.

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორის სამუშაოს აღწერილობიდან დგინდება, რომ უნივერსიტეტის აღნიშნული თანამშრომელი სტუდენტს უწევს დახმარებას აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებში. სკოლის დირექტორი შესაბამისი დეპარტამენტის უფროსთან ერთად, აწყობს რეგულარულ შეხვედრებს თავისი დეპარტამენტის სტუდენტებთან, განუმარტავს უნივერსიტეტის პოლიტიკას და აცნობს ინფორმაციას მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობიდან კი დგინდება, რომ მისი მოვალეობაა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება-გავრცელება.

ამასთან, დეპარტამენტის უფროსის სამუშაოს აღწერილობის თანახმად, დეპარტამენტის უფროსი აწყობს რეგულარულ შეხვედრებს თავისი დეპარტამენტის სტუდენტებთან, განუმარტავს უნივერსიტეტის პოლიტიკას და აცნობს ინფორმაციას მათი აკადემიური მოსწრების შესახებ.

ყურადღებას იპყრობს სტუდენტთა კონსულტირების პროცესში სამართლის სკოლის ასისტენტის ფუნქციაც. ეს თანამშრომელი სკოლის დირექტორის დაქვემდებარებაშია და მის მოვალეობაში შედის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მშობლებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაცია. ამავე თანამშრომლის მოვალეობაა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მიაწოდოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია.

ადმინისტრციული რესურსების დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ სამართლის სკოლის ასისტენტი უნივერსიტეტის ფოიეში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას კონსულტირებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტებს. თუმცა, ეს თანამშრომელი ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა მოვალობებსაც, ისეთი როგორებიცაა: სკოლის დირექტორისათვის მართვის ელექტრონულ სისტემაში (Online UG) სკოლის მიერ სემესტრულად შეთავაზებული საგნების რეგისტრაციაში დახმარება, საოფისე დოკუმენტაციის წარმოება, შუალედურ და ფინალური გამოცდებზე დასწრება; სკოლის დირექტორთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად პროგრამების განახლება/გაუმჯობესებაზე მუშაობა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამართლის სკოლის ასისტენტი მთავარი რგოლია დაინტერესებულ პირთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების საკითხში. სამართლის სკოლის ასისტენტი, სხვა ფუნქციების პარალელურად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში.

ცალსახაა, რომ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს. თუმცა, საკონსულტაციო სერვისების გაძლიერება უფრო მეტად დახვეწდა საგანმანათლებლო პროგრამას. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ამჟამად 95 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლობს. თუმცა, სამართლის სკოლის ასისტენტი მომსახურებას უწევს სამართლის სკოლის სხვა სტუდენტებსაც, რომელთა ოდენობა ათასს აღემატება. შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე ასისტენტის რესურსი შეიძლება არცთუ საკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშაოს სპეციალური თანამშრომლების აყვანასა, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება „ჩემი UG-ს“ (შემდგომში - My UG) სპეციალური ელექტრონული პორტალი. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად გამოიყენება ელ-ფოსტა, სატელეფონო შეტყობინებები და ზარები, სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში სტუდენტს აქვს პირადი გვერდი. ამ გზით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაგზავნოს განცხადება, ეკონტაქტოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებსა თუ პედაგოგებს. პირად გვერდზე სტუდენტი ეცნობა სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს, გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს, სასწავლო კურსის ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციას და სხვ. ინტერვიუირების პროცესში სამაგისტრო სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება My UG-ის ელექტრონულ პორტალთან დაკავშირებით. სტუდენტები მას აღწერენ როგორც ინფორმაციის ეფექტურ წყაროს.

საქართველოს უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 მარტის №08-12 ოქმით დამტკიცებული სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების თანახმად, უნივერსიტეტის როგორც სრულ, ისე არასრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას ელექტრონული პორტალის, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ისინი ყოველსემესტრულად უზრუნველყოფენ საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაციის გამოკვრას სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა იხილა უნივერსიტეტის ფოიეში გამოკრული პერსონალის საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალი MY UG. ამასთან ერთად, კომუნიკაციის გავრცელებული ფორმებია სოციალური ქსელები, სატელეფონო და პირადი კონსულტაციები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულების თანახმად, უნივერსიტეტის პრორექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. ამ სამსახურის ძირითადი ფუნქციებია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა. მატერიალური და ტექნიკური ბაზის დათვალიერების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის სივრცე. ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ სამსახურის ხელმძღვანელსაც, რომელმაც განმარტა, რომ სამსახური კრებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, უზიარებს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს MY UG-ს ელექტრონული გვერდის და სოციალური ქსელების საშუალებით. სამსახური ეხმარება სტუდენტებს მოკლე ავტობიოგრაფიების (CV) შევსებასა და დამსაქმებლისათვის გადაგზავნაში. სამსახური პერიოდულად ატარებს ტრეინინგებს ისეთ თემებზე როგორიცაა ბრენდინგი, ფსიქოლოგია და სხვ.

ინტერვიურების დროს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროდ სტუდენტები და კურსდამთავრებულები MY UG-ს ელექტრონულ პორტალს ასახელებენ. ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა ისიც აღნიშნა, რომ ვაკანსიებისა თუ ტრეინინგების შესახებ ინფორმაცია მიუღიათ მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინება და სატელეფონო ზარის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებად უნივერსიტეტი სტუდენტთა ელექტრონულ პორტალს - MY UG-ს იყენებს. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების შემთხვევაში ამ საშუალების გამოყენება ძირითად საკომუნიკაციო საშუალებად შეიძლება ნაკლებეფექტურად ჩაითვალოს. მიზნის მისაღწევად უფრო ეფექტური საშუალება, სოციალურ ქსელებში არსებულ გვერდებთან ერთად, მათ პირად ელექტრონულ ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნა იქნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს არაერთი მემორანდუმი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციასთან პრაქტიკის მიმართულებით თანამშრომლობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ შპს „აჭარა ჯგუფის“, „კორძაია ჟღენტის საადვოკატო ბიუროსა“ და „მარიკა არევაძის საადვოკატო ჯგუფის“ წარმომადგენლები.

„აჭარა ჯგუფის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ პრაქტიკის მიმართულებით. კომპანია რეგულარულად აწვდის უნივერსიტეტს ინფორმაციას იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც კადრებს უყენებენ. კომპანია სტუდენტებს აძლევს აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია აცნობებს უნივერსიტეტს, თუ რა არის გასაძლიერებელი მხარე და რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში. მისასალმებელია, რომ პრაქტიკის დასრულების შემდეგ სამართლის სკოლის ერთი სტუდენტი დასაქმდა კომპანიის წარმომადგენლის პირად თანაშემწედ.

„კორძაია ჟღენტის საადვოკატო ბიუროს“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისიც აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პრაქტიკის მიმართულებით. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია გამოკვეთს სტუდენტთა გასაძლიერებელ მხარეებს და აცნობებს უნივერსიტეტს, რათა დაიხვეწოს სასწავლო პროცესი. მისასალმებელია, რომ პრაქტიკის დასრულების შემდეგ ამ ორგანიზაციაშიც სამართლის სკოლის ერთი სტუდენტი დასაქმდა ადვოკატის თანაშემწედ.

რაც შეეხება „მარიკა არევაძის საადვოკატო ჯგუფს“, ისიც აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან. ეს კომპანია რთავს უნივერსიტეტის სტუდენტებს პრაქტიკისა და პროექტებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე დამსაქმებლის წარმომადგენელი უნივერსიტეტთან პედაგოგიური მიმართულებითაც თანამშრომლობს. როგორც დამსაქმებლები ისინი უნივერსიტეტთან პარალელურ რეჟიმში თანამშრომლობენ. როგორც დამსაქმებლები ისინი არ წარმოადგენენ მსხვილ პარტნიორს უნივერსიტეტისათვის.

საერთო ჯამში, უნივრსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა. თუმცა, დამსაქმებელთა წრის გაფართოვება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მეტი შედეგის მომტანი იქნება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა შეისწავლა შრომის ბაზარი. კვლევის შედეგები აისახა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რომელშიც ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, პრობლემები და ძირითადი გამოწვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 მარტის №08-12 ოქმის მიხედვით დამტკიცებული სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;
- სამუშაოს აღწერილობები;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუირების შედეგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის გაძლიერებისათვის უმჯობესი იქნებოდა საკონსულტაციო სერვისის გაძლიერება. უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტთა მრავალრიცხოვნობიდან გამომდინარე ასისტენტის რესურსი შეიძლება არცთუ საკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მისი მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშაოს სპეციალური თანამშრომლების აყვანასა, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი;

• სასურველია გაძლიერდეს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, კერძოდ გაიზარდოს პარტნიორ დამსაქმებელთა რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლებით პროფესიული პრაქტიკით, აკადემიური ნაშრომებით, სამეცნიერო აქტივობით და სხვ. აკადემიური პერსონალი უხვადაა დაკომპლექტებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით, რაც მისასალმებელია. უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით. საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში მოქმედებს „საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება“, რომლითაც დარეგულირებულია სამაგისტრო ნაშორმის შერჩევის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის, შესრულებისა და დაცვის წესები. ზემოაღნიშნული „დებულების“ 31-ე მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად, მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას. თანახელმძღვანელი შესაძლებელია შეირჩეს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტში მაგისტრანტს შეიძლება ხელმძღვანელობდეს არამხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წევრი, არამედ მოწვეული პირიც. ამასთან, დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიიდან დასტურდება, რომ მაგისტრატებს უმეტესწილად ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ზემოაღნიშნული „დებულების“ მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ნაშრომის მომზადებაში სტუდენტს ეხმარება ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. სტუდენტს/სტუდენტებს და ხელმძღვანელს შორის იმართება ყოველკვირეული შეხვედრები უნივერსიტეტში, ფიქსირებულ

დროს. სავალდებულო შეხვედრების რაოდენობაა 10. ხელმძღვანელის მიერ გაცდენილი შეხვედრა აღდგება ლექცია/სემინარის აღდგენის წესის შესაბამისად.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.

აღსანიშნავია სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შერჩევის, რეგისტრაციისა და მასზე მუშაობის უნივერსიტეტში დადგენილი წესებიც. უნივერსიტეტში მოქმედი „ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების“ 35-ე მუხლის თანახმად, სკოლის საბჭო უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე დაამტკიცოს საკვლევი თემატიკა. საკვლევი თემატიკის დამტკიცების შემთხვევაში, სტუდენტი ირჩევს საკვალიფიკაციო ნაშრომს სკოლის მიერ გამოცხადებული თემატიკის ფარგლებში და წარუდგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს. აღნიშნული „დებულების“ შესაბამისად გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფიის შესახებ ნაშრომის წარდგენის პროცედურა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე.

ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მაგისტრანტთა ინტერესს და ეხმარებიან, როგორც სამაგისტრო თემის შერჩევაში ისე მის შესრულებაში.

უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიით დადასტურდა, რომ მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ სათანადო კომპეტენციის კადრები. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება ადექვატურია და შესაფერისია მაგისტრანტის მიერ საკვლევ თემასთან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიასა და დაცულ სამაგისტრო ნაშრომებსაც. სამაგისტრო ნაშრომების სათაურები აქტუალურია, აქვს სამეცნიერო სიახლე, ხოლო, შინაარსი დამაკმაყოფილებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ნაშრომების რადიკალურად განსხვავდება სტილით. აკადემიური სტანდარტების თვალსაზრისით ისინი განსხვავებულია და სტილისტურად ზოგჯერ არაა გამართული. არ არის დაცული მინდორი, ზოგჯერ აბზაციც. არათანაბარია დაშორება აბზაცებს შორის. ასეთ ნაშრომებში განსხვავებულია ციტირების სტანდარტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს გამოწვეულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების უნივერსიტეტში დადგენილი სტანდარტის ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტში მოთხოვნები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მიმართ დადგენილია საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების №2 დანართით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკლავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამაგისტრო ნაშრომების შესრულების, აღრიცხვის და დაცვა-შენახვის პრაქტიკა უფრო მეტად დაზუსტდეს, გაიწეროს მარეგულირებელ აქტებში, განხორციელდეს და ერთგვაროვანი სახით გავრცელდეს უნივერსიტეტში დაცულ ნაშრომებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მისასალმებელია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი და 21 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 37.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 95 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,3. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,115. აღნიშნული მონაცემები სამაგისტრო საფეხურისათვის კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე, კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა ანაზღაურებადია. აღნიშნული დასტურდება, მათ შორის, პერსონალის ხელშეკრულებებითა და ინტერვიუს შედეგებით.

საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულია დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

ყურადღებას იპყრობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენლის ფუნქციები საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ასისტენტი უძღვება და კითხულობს „განათლების სამართლის„ ლექციათა კურსს. უნივერსიტეტს ასისტენტთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პირი დასაქმებულია უნივერსიტეტში ასისტენტის თანამდებობაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, მოქმედი შრომითი, ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ასევე საუნივერსიტეტო სასწავლო დებულებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს უნივერსიტეტის „სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების“ მე-6[1] მუხლის თანახმად, ასისტენტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ი[1] ქვეპუნტთან, რომლის თანახმადაც, ასისტენტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

მიუხედავად ამისა, საქართველოს უნივერსიტეტს იმავე პირთან, როგორც მოწვეულ ლექტორთან, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. აღნიშნული პირი სამაგისტრო პროგრამაზე უძღვება სასწავლო კურსს „განათლების სამართალი“. როგორც ჩანს, საქართველოს უნივერსიტეტმა ასისტენტის მიერ ლექციათა კურსის წაკითხვის დაუშვებლობის საკითხის გადასაჭრელად გადაწყვიტა იმავე პირთან

გაეფორმებინა სხვა შინაარსის ხელშეკრულებაც. მიუხედავად საკითხის ამგვარ მოწესრიგებისა, დასაფიქრებელია ასისტენტის თანამდებობის იმ ფუნქციების შინაარსი, რომელიც კანონმდებელმა მოიაზრა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა აკადემიური პერსონალის სია, სასწავლო კურსებისა და მათი ხელმძღვანელების სია, ცალკეულ ლექტორთა კვირეული დატვირთვის სია. ამ უკანასკნელ დოკუმენტში მითითებულია ცალკეული აკადემიური პერსონალის წევრების სია მათი პირადი ნომრების, კვირეული დატვირთვის, სწავლების სკოლის, სწავლების ენის, საფეხურის და კვირების ოდენობის მითითებით. თუმცა ეს დოკუმენტი ვერ ჩაითვლება დატვირთვის სრულყოფილ სქემად. ის არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას სწავლების საფეხურის, სწავლების სემესტრის და პროგრამაში ჩართული პერსონალის ყველა წარმომადგენლის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის დატვირთვის შესახებ დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • საქართველოში მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტი ადგენს, რომ საჭიროა პროგრამას ახორციელებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. მიუხედავად საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, ასისტენტთან სამართლებრივი ურთიერთობის იმგვარი მოწესრიგებისა, რომ მას უფლება ეძლევა სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლო კურსის ხელმძღვანელობა, დასაფიქრებელია ასისტენტის თანამდებობის იმ ფუნქციების შინაარსი, რომელიც კანონმდებელმა მოიაზრა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აკრედიტაციის საბჭომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე. • ამასთან, აუცილებელია უნივერსიტეტში მოქმედებდეს პერსონალის დატვირთვის სტანდარტთან შესაბამისი სქემა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. უნივერსიტეტი ცდილობს წაახალისოს მათი პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობები, კონფერენციებში მონაწილეობა, ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, პლაგიატთან დაკავშირებით.

მისასალმებელია უნივერსიტეტის მიერ კვლევითი აქტივობების დაფინანსების სისტემის დანერგვა, რომლითაც დაწესებულება წაახალისებს თავის პერსონალს აკადემიურ პერსონალს გამოქვეყნონ სტატიები.

აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უფრო სრულყოფილად შეძლოს სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.

აღსანიშნავია რომ საქართველოს უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მიზანია სამეცნიერო კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდიანაცია.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მიმართულებით გასააქტუიურებლად საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს სხდომის ოქმი N55/19 ით დამტკიცდა სამეცნიერო პუბლიკაციის პრემიის გაცემის ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც, სამეცნიერო პუბლიკაციის პრემიის მისაღებად აუცილებელია ორი პირობა, სტატიაში ავტორის ან თანაავტორს მითითებული ჰქონდეს საქართველოს უნივერსიტეტთან და პუბლიკაცია გამოქვეყნებული ან მიღებული იყოს Elsevier-ის Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალში;

პრემიის ოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს სამ პარამეტრს:

-რა პოზიციაზეა ჟურნალი თავისი დარგ(ებ)ის ჟურნალებს შორის;

-როგორია ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ფარდობითი (დარგზე ნორმალიზებული) ციტირების გადანაწილება;

-ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რა წილია ციტირებადობით თავისი დარგის სტატიების ტოპ 10% ში.

პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსნებეული სამი პარამეტრის შეჯერების შედეგად ჟურნალის რეიტინგი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო რეიტინგის 20%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი პრემირების წესი წაახალისებს აკადემიურ პერსონალს გახდნენ უფრო აქტიურები სამეცნიერო მიმართულებით. თუმცა, უნივერსიტეტის მიერ დაწესებულია საკმაოდ მაღალი სტანდარტი და ამგვარი პრემიის მოპოვების საშუალება სამართალმცოდნოების მიმართულებით იშვიათი იქნება. ინტერვიურების პროცესში გამოირკვა რომ სკოლის ერთმა წარმომადგენელმა მიიღო ამგვარი პრემია. მისასალმებელი იქნება საქართველოს უნივერსიტეტმა გააღრმავოს მის მიერ დამკვიდრებული დადებითი პრაქტიკის მიმართულებით მუშაობა და წაახალისოს ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში აქტიურობაც.

აღსანიშნავია, რომ პერსონალის ზრდის მიმართულებით უნივერსიტეტის მხრიდან შეფასების მექანიზმი არ არის სრულყოფილი. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება სტუდენტების მხრიდან მათი შეფასება, არამედ მოიაზრება უნივერსიტეტის ჩართულობა პედაგოგების სამეცნიერო ზრდის კვლევისა და განსაზღვრისა. აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი მხოლოდ უცხოურ (ინგლისურ) ენაზეა წარმოდგენილი. მაგალითისათვის პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელის ავტობიოგრაფიები (CV) მხოლოდ ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი. მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას ხარისხის კონტროლის გარე მექანიზმის წარმოების ენა და რეზიუმეები და სხვა დოკუმენტები უნივერსიტეტში ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიები (CV) რადიკალურად განსხვავებული ფორმისაა. სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმის რეზიუმეები დაეხმარება საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი პირადი საქმეები არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. ზოგიერთ პირად საქმეში ვხვდებით სამეცნიერო შრომების ჩამონათვალის ცალკე დოკუმენტს, ზოგ შემთხვევაში ეს მონაცემები ავტობიოგრაფიაშია ინტეგრირებული. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ეს მონაცემები სააპლიკაციო ფორმაშიც კი არ არის მოცემული. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღნიშნული გარემოება მიუთითებს პერსონალის პირადი საქმეებისათვის და მათი განვითარების მონიტორინგზე ნაკლები ყურადღების გამახვილებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება; • პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების განსაზღვრული კონცეფცია და პრაქტიკაში ახორციელებდეს მათი პერსონალის უნივერსიტეტის მხრიდან შეფასებას. • სასურველია უნივერსიტეტში პერსონალის პირად საქმეში არსებული დოკუმენტები ინახებოდეს სახელმწიფო ენაზე, განახლებული და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ერთიანი ფორმით. ასეთი დოკუმენტაცია დაეხმარება საქართველოს უნივერსიტეტს დააკვირდეს პერსონალის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს მას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის.
რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად.

უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას, რომელთა საშუალებითაც მაგისტრანტები და დოქტორანტები შეძლებენ მასალების მოძიებას, მათ შორის, უცხოენოვან ლიტერატურაზე.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.
სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. HeinOnline თან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ტეროტორიაზე, რაც არაკომფორტულია. ასეთ შემთხვევაში აკადემიური/ მოწვეული პერსონალი იძულებულია დრო გამოყოს რათა უნივერსიტეტში ისარგებლოს ელექტრონული რესურსით. გასათვალისწინებელია თოთოეულის დატვირთული სამუშაო გრაფიკი. უნივერსიტეტი საუბრობს სწავლების ახალი მეთოდების შესახებ. არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული სწავლების გვერდი Moodle, სივრცე სადაც შესაძლებელია ლექტორთა მხრიდან სასწავლი კურსების დარეგისტრირება, დავალებების ატვირთვა-შემოწმება, ფორუმებზე ტექსტების განთავსება. ეს არის კომუნიკაციის საშუალება ლექტორსა და სტუდენტს შორის. შესაძლებელია ლიტერატურის განთავსება. კარგი საშუალებაა ჯგუფებთან კომუნიკაციის მიმართულებით .შესაძლებელია ტექსტური შეტყობინების გაგზავნა და პასუხის მიღება. შესაძლებელია ელექტრონულად საგამოცდო დავალების ატვირთვა და გასწორება. საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის.

რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად.

უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას, რომელთა საშუალებითაც მაგისტრანტები და დოქტორანტები შეძლებენ მასალების მოძიებას, მათ შორის, უცხოენოვან ლიტერატურაზე.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. HeinOnline თან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ტეროტორიაზე, რაც არაკომფორტულია. ასეთ შემთხვევაში აკადემიური/ მოწვეული პერსონალი იძულებულია დრო გამოყოს რათა უნივერსიტეტში ისარგებლოს ელექტრონული რესურსით. გასათვალისწინებელია თოთოეულის დატვირთული სამუშაო გრაფიკი. უნივერსიტეტი საუბრობს სწავლების ახალი მეთოდების შესახებ. არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული სწავლების გვერდი Moodle, სივრცე სადაც შესაძლებელია ლექტორთა მხრიდან სასწავლი კურსების დარეგისტრირება, დავალებების ატვირთვა-შემოწმება, ფორუმებზე ტექსტების განთავსება. ეს არის კომუნკაციის საშუალება ლექტორსა და სტუდენტს შორის. შესაძლებელია ლიტერატურის განთავსება. კარგი საშუალებაა ჯგუფებთან კომუნიკაციის მიმართულებით .შესაძლებელია ტექსტური შეტყობინეის გაგზავნა და პასუხის მიღება. შესაძლებელია ელექტრონულად საგამოცდო დავალების ატვირთვა და გასწორება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბიბლიოთეკო რესურსების შეძენის დამადასტურებელი ხელშეკრულებები; • ელექტრონული რესურსების და ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება; • ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული უცხოენოვანი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობა სტუდენტებსა და პედაგოგებს მხოლოდ უნივერსიტეტიდან შეუძლიათ. პირადი მონაცემების მითითების შემთხვევაში უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტებს არ აქვთ ბაზებზე წვდომა. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, პირადი ელექტრონული მონაცემების მითითების შედეგად, ნებისმიერი წერტილიდან ჰქონდეთ წვდომა ასეთ წყაროებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადი და გამართულია, იგი მომგებიანია და არ უწევს უნივერსიტეტს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციას“. აღნიშნული დოკუმენტის ძირითად მიზნად განსაზღვრულია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა წარმოადგენს. ინსტრუქციის თანახმად სასწავლებელი დასახული მიზნების განსახორციელებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ცვლილებების გახორციელების ისეთ მექანიზმებს იყენებს, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმები. წინამდებარე ინსტრუქციის თანახმად შიდა ხარისხის შეფასების წამყვან ფუნქციას პროგრამის განვითარების საბჭო ასრულებს. საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლის საბჭო (დებულებაში არის მითითებული სკოლის აკადემიური საბჭო, დასადგენია შეცდომაა თუ სამართლებრივად ასე უნდა იყოს?), მუდმივ წევრებს წარმოადგენენ პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. აქვე უნდა აღინიშნოს აღნიშნული ჩანაწერის აბსტრაქტულობა და დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, გაურკვეველია სასწავლებლის ხარისხზე თუ სკოლის ხარისხზეა საუბარი და ვინ განსაზღვრავს რომელი თანამშრომელი?! მიზანშეწონილია რეგულაციების დაზუსტება და ორმაგი გაგების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა. „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“ ადგენს პროგრამის განვითარების საბჭოს ამოცანებს და მას აკისრებს კვლევების ჩატარებას, მის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეკრებას, იდენტიფიცირებას, ანალიზს და შეფასებას. ინსტრუქციით ასევე განსაზღვრულია შეფასების რეგულარულად ჩატარებას (სემესტრში ერთხელ და წელიწადში ერთხელ) და ფორმები (პირდაპირი და არაპირდაპირი). შეფასების პირდაპირი ფორმით ხდება პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა სტუდენტთა გამოკითხვის გზით, რომლის შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება პროგრამის განვითარების უზრუნველყოფა. არაპირდაპირი შეფასების ფორმით ხდება სასწავლო პროცესისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიმართების შეფასება სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების გამოკითხვის გზით. წარმოდგენილი

შეფასებების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია და დანერგილია სტუდენტის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კითხვარის ფორმები და სხვ.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 2019 წლის 30 ოქტომბერს, სუ-ში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელებულ შეხვედრებზე შესაბამის პირებთან გასაუბრების/ინტერვიუს მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი რეგულაციის პრატიკაში მოქმედების რეალისტურობა. მოპოვებული იქნა 2019 წლის 3 ივლისის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომის 01/09 ოქმი, რომლითაც დასტურდება პროგრამაში ჩართული პერსონალის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში ჩართულობა და ხარისხის შეფასების შედეგების პროგრამის გასაუმჯობესებლად მიღებული შედეგების გამოყენების ფაქტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 საოქმო გადაწყვეტილება;
- 2019 წლის 3 ივლისის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომის 01/09 ოქმი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შიდა შეფასების უზრუნველმყოფელი რეგულაციების ტექნიკურად გამართვა, მეტი დეტალიზაცია, სადაც გამოჩნდება შემსრულებელი და ანგარიშგების ვალდებულების მქონე პირების უფლება-ვალდებულებები და ცალკეული სპონტანური პროცესების სისტემატიზაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გარე შეფასების სამართლებრივ საფუძველს სუ-ში ქმნის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული პირები, სასწავლებლის შიდა რესურსების გარდა დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. ამავე დოკუმენტში მოცემულია მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი რეგულაცია, ზოგადია, არ განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობის ფარგლებს. ამავე დროს მასში არ არის სისტემატიზებული გარე შეფასებებზე რეაგირების წესი. კერძოდ რა ხდება გარე შემფასებლის მიერ გაწეულ რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ აღნიშნული ნაწილის შეფასების ნაწილში გამოვლინდა ფაქტები, რომ დაწესებულება აკადემიური და სკოლის საბჭოს მეშვეობით განიხილავს და რეაგირებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის შეფასებებზე, ღებულობს გადაწყვეტილებებს შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე, თუმცა მარეგულირებელ დოკუმენტში შესაბამისი დეტალური წესი არ იძებნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სკოლის დებულება და სხდომის ოქმები; • პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომის ოქმები; • დაწესებულების ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია გარე შეფასებებზე რეაგირების წესში გათვალისწინებული იქნას ზოგადად განათლების და დარგის, მათ შორის უცხოელი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის რეგულაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ მოქმედებს სუ-ში მოქმედი საერთო ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის დასკვნითი ნაწილი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმს. მასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროგრამის განვითარების საბჭოს მნიშვნელობას და ფუნქციას პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფაში. კერძოდ, ინსტრუქციის თანახმად, საბჭოს შეკრების მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი. გარდა ამისა ინსტრუქცია ადგენს, რომ პროგრამის შედეგების პირდაპირი მექანიზმებით შეფასება სასურველია განხორციელდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხოლო არაპირდაპირი მექანიზმებით ყოველ 2 წელიწადში. სუ-ში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომლის ანალიზის მეშვეობით დგინდება სწავლის შედეგების განვითარების ღონისძიებები. შემუშავებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური, მოწვეული პერსონალის სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის ფორმები, რომელთა მიხედვით ყოველ სემესტრულად და წლიურად ტარდება შესაბამისი გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზი, რაც მიმართულია პროგრამის განვითარებისაკენ.

თვითშეფასების, მაის თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს მეშვეობით პირდაპირ არ დასტურდება პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თუმცა სამართლებრივი ინგლისურის toles-ის ავტორიზებული პროგრამით სწავლების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იყენებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- გამოკითხვის ფორმები;
- გამოკიტხვის შედეგების ანგარიშები;
- პროგრამის განვითარების საბჭოს სხდომის ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხელშეკრულება TOLES-სთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია მეტი სისტემატიზაცია და მკაფიო რეგულაციის შემუშავება და დანერგვა, რომელიც პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან პერიოდული დადარების მეშვეობით უფრო კონცენტრირებულად ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42 (ორმოცდაორი) გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა:
<u>ლევან ჯაყელი</u>

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა:
<u>სოფიო შენგელია</u> _

<u>ილია წიკლაური</u>